

შპს ათენკ
(ს/კ 406078113)

ფინანსური ანგარიშგება

**საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31
დეკემბერს**

შპს ათენკ

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შინაარსი:

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება ----- 3

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ----- 4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია ----- 5
2. მომზადების საფუძვლები ----- 5
3. ამონაგები ----- 9
4. წმინდა შემოსულობა ----- 9
5. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები ----- 9
6. საბიუჯეტო გადასახადები ----- 9
7. სავაჭრო და სხვა მთხოვნები ----- 9
8. სასაქონლო-მატერიალური მარაგები ----- 10
9. ძირითადი საშუალებები ----- 10
10. არამატერიალური აქტივები ----- 11
11. სავაჭრო ვალდებულებები ----- 11
12. იჯარა ----- 11
13. საკუთარი კაპიტალი ----- 12
14. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ----- 12
15. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება ----- 12

შპს ათენკ

საიდენტიფიკაციო კოდი: 406078113

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს
საანგარიშგებო ვალუტა: ლარი

	შენიშვნა	2023	2022
შემოსავალი	3	18,010,452	18,194,182
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	4	-17,245,043	-17,032,542
საერთო მოგება		765,409	1,161,640
საპროცენტო შემოსავალი		42,739	58577
შრომის ანაზღაურება		-708,716	-567,017
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	5	-494,056	-328,847
ცვეთის ხარჯი		-85,403	-81,017
იჯარის ხარჯი	12	-281,016	-294,558
საპროცენტო ხარჯი		0	-235,863
საოპერაციო მოგება		-761,043	-287,085
არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი		664,877	-335,378
მოგება დაბეგვრამდე		-96,166	-622,463
მოგების გადასახადის ხარჯი		0	0
მიმდინარე წლის მოგება/ზარალი		-96,166	-622,463
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი		0	0
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		-96,166	-622,463
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		-3125575	-2,865,677
ახალი აქციების გამოშვება			0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)			0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		-35,770	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები		71,540	362,565
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		-3,185,971	-3,125,575

დირექტორი: ალექსანდრე მაკარიან
ხელმოწერა:

შპს ათენკ

საიდენტიფიკაციო კოდი: 406078113

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს
საანგარიშგებო ვალუტა: ლარი

	შენიშვნა	2023	2022
შემოსავალი	3	18,010,452	18,194,182
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	4	-17,245,043	-17,032,542
საერთო მოგება		765,409	1,161,640
საპროცენტო შემოსავალი		42,739	58577
შრომის ანაზღაურება		-708,716	-567,017
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	5	-494,056	-328,847
ცვთის ხარჯი		-85,403	-81,017
იჯარის ხარჯი	12	-281,016	-294,558
საპროცენტო ხარჯი		0	-235,863
საოპერაციო მოგება		-761,043	-287,085
არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი		664,877	-335,378
მოგება დაბეგვრამდე		-96,166	-622,463
მოგების გადასახადის ხარჯი		0	0
მიმდინარე წლის მოგება/ზარალი		-96,166	-622,463
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი		0	0
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		-96,166	-622,463
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		-3125575	-2,865,677
ახალი აქციების გამოშვება			0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)			0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		-35,770	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები		71,540	362,565
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		-3,185,971	-3,125,575

დირექტორი: ალექსანდრე მაკარიან
ხელმოწერა: ✓



შპს ათენკ

საიდენტიფიკაციო კოდი: 406078113

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა: ლარი

აქტივები	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022	31.12.2021
მიმდინარე აქტივები		20,983,481	16,175,877	4,513,004
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	14	4,385,273	3,682,851	2,127,238
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	346,384	401,179	2,236
გაცემული ავანსები და სესხები		15,386,835	9,759,250	18,079
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	8	664,423	2,330,598	2,074,305
სხვა მიმდინარე აქტივები		200,566	1,999	291,146
გრძელვადიანი აქტივები		5,069,792	4,214,168	4,078,680
ძირითადი საშუალებები	9	5,068,256	4,212,711	4,076,774
არამატერიალური აქტივები	10	1,536	1,457	1,906
სულ აქტივები		26,053,273	20,390,045	8,591,684
ვალდებულებები	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022	31.12.2021
მიმდინარე ვალდებულებები		29,239,244	23,515,620	11,457,361
სავაჭრო ვალდებულებები	11	10,876,884	9,681,872	1,524,833
საგადასახადო ვალდებულებები		0	35,563	16,606
სხვა ვალდებულებები		13,385,092	8,926,356	4,910,688
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		4,977,268	4,871,829	5,005,234
საკუთარი კაპიტალი		-3,185,971	-3,125,575	-2,865,677
საწესდებო კაპიტალი	13	1,173,055	1,173,055	1,173,055
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		-4,359,026	-4,298,630	-4,038,732
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		26,053,273	20,390,045	8,591,684

დირექტორი: ალექსანდრე მაკარიან
ხელმოწერა:

შპს ათენკ

საიდენტიფიკაციო კოდი: 406078113

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა: ლარი

აქტივები	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022	31.12.2021
მიმდინარე აქტივები		20,983,481	16,175,877	4,513,004
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	14	4,385,273	3,682,851	2,127,238
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	346,384	401,179	2,236
გაცემული ავანსები და სესხები		15,386,835	9,759,250	18,079
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	8	664,423	2,330,598	2,074,305
სხვა მიმდინარე აქტივები		200,566	1,999	291,146
გრძელვადიანი აქტივები		5,069,792	4,214,168	4,078,680
ძირითადი საშუალებები	9	5,068,256	4,212,711	4,076,774
არამატერიალური აქტივები	10	1,536	1,457	1,906
სულ აქტივები		26,053,273	20,390,045	8,591,684
ვალდებულებები				
მიმდინარე ვალდებულებები		29,239,244	23,515,620	11,457,361
სავაჭრო ვალდებულებები	11	10,876,884	9,681,872	1,524,833
საგადასახადო ვალდებულებები		0	35,563	16,606
სხვა ვალდებულებები		13,385,092	8,926,356	4,910,688
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		4,977,268	4,871,829	5,005,234
საკუთარი კაპიტალი		-3,185,971	-3,125,575	-2,865,677
საწესდებო კაპიტალი	13	1,173,055	1,173,055	1,173,055
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		-4,359,026	-4,298,630	-4,038,732
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		26,053,273	20,390,045	8,591,684

დირექტორი: ალექსანდრე მაკარიან
ხელმოწერა: ✓



საადრიცხო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2023 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ათენკ“ (შემდგომში კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში. კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ძირითადი არის საქართველო, თბილისი, თენგიზ ჩანტლადის ქ. #1ბ. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საცალო ვაჭრობა ხორციით და ხორცის პროდუქტებით სპეციალიზებულ მაღაზიებში.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და საადრიცხო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულებში (ლარი).

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

ხარჯების აღიარება

კომპანიის საადრიცხო პოლიტიკის მიხედვით, საბუღალტრო აღრიცხვაში და ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებულია ხარჯების ფუნქციების მიხედვით კლასიფიკაცია, რომელიც უფრო საიმედო და შესაბამისია კომპანიის სამეურნეო პროცესების ასახვისთვის და ასევე ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის. ხარჯები აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში თუ არსებობს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირების საშიშროება, რაც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების გაზრდასთან და რომელიც შეიძლება საიმედოდ შეფასდეს.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

გადასახდელი მოგების გადასახადი ეფუძნება მიმდინარე პერიოდში მოგებით დასაბეგრ ოპერაციებს და მოგების გადასახადის გადახდა ხდება ყოველთვიურად.

ძირითადი საშუალებები

ძირითად საშუალებად კომპანია აღიარებს ისეთ მატერიალურ აქტივს, რომელიც იმყოფება კომპანიის საკუთრებაში, უშუალოდ გამოიყენება საქონლის წარმოებაში ან/და საქონლის/მომსახურების მისაწოდებლად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის და გათვალისწინებულია ერთ საანგარიშო წელზე მეტი ხნით გამოსაყენებლად. კომპანიის საკუთრებაში არსებული ყველა ძირითადი საშუალება აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი ცვეთა. თვითღირებულება მოიცავს ძირითადი საშუალების ნასყიდობის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადებსა და ყველა დაუბრუნებად გადასახადებს, ასევე ყველა დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია ძირითადი საშუალების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში. ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის შემცირებადი ნაშთით დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისთვის.

არამატერიალურ აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება შემცირებადი ნაშთის მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში, 20% იანი განაკვეთით. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ს) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში – პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

ბიოლოგიური აქტივები

საწარმომ ბიოლოგიური აქტივი და სოფლის მეურნეობის პროდუქცია უნდა აღიაროს მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც: (ა) საწარმო აკონტროლებს ამ აქტივს წარსული მოვლენების შედეგად; (ბ) მოსალოდნელია ამ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის საწარმოში შემოსვლა; და (გ) შესაძლებელია აქტივის რეალური ღირებულების ან თვითღირებულების საიმედოდ შეფასება, მიზანშეწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე. კომპანიის საკუთრებაში არსებული ბიოლოგიური აქტივები წარმოდგენილია მცენარეების სახით. კომპანია მათი აღრიცხვისათვის იყენებს რეალურ ღირებულებით შეფასებას, რადგანაც შეუძლია მისი შეფასება მნიშვნელოვანი დანახარჯების გაწევის გარეშე.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება

საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

3. ამონაგები

	2023	2022
საქონლის რეალიზაცია	18,081,096	18284329
მომსახურების გაწევა	-	-
გაყიდული საქონელის დაბრუნება და ფასდათმობა	-70644	-90147
	18,010,452	18,194,182

4. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
გაყიდული/შემენილი საქონელი	(2,398,895)	(1,981,744)
	2,398,895	(1,981,744)

5. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2023	2022
საკონსულტაციო ხარჯი	-29514	-23353
ტრანსპორტისა და მიწოდების სხვა ხარჯები	-24,790	-21620
კომუნიკაციის ხარჯი	-3,771	-3348
კომუნალურების ხარჯი	-37242	-40806
ბანკის საკომისო ხარჯი	-35677	-38001
საგადასახადო ხარჯი	-57500	
სხვა ხარჯები	-305,562	-201709
	-494,056	-328,837

6. საბიუჯეტო გადასახადები

	2023	2022
მოგების გადასახადი დივიდენდზე	-	-

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2023	2022
სავაჭრო დებიტორები	346384	401179
წინასწარი გადახდები	15386835	9759250

8. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	2023	2022
მზა პროდუქცია	-	327746
ნედლეული და მასალა	-	-
სხვა	664,423	2002852

9. ძირითადი საშუალებები

თვითღირებულება	მიწა და შენობა - ნაგებობები	შენობები	მანქანა - დანადგარები და მოწყობილობა	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა	სულ
1 იანვარი 2023 წ.	283,343	4,604,138	241,396	60,799	144,409	126,297	9,246	5,469,628
შემოსვლა	-	-	10,004	559	255	-	80	10,898
გასვლა	-	-	-	3,152	-	-	-	3,152
31 დეკემბერი 2023 წ.	283,343	4,604,138	251,400	58,206	144,664	126,297	9,326	5,477,374

დაგროვილი ცვეთა და გაუფასურებ ა	მიწა და შენობა - ნაგებობ ები	შენობები	მანქანა - დანადგ არები და მოწყობ ილობა	ოფისის აღჭურვი ლობა	ავეჯი და სხვა ინვენტა რი	სატრანს პორტო საშუალ ებები	სხვა	სულ
1 იანვარი 2023 წ.	-	73,547	103,989	21,652	48,108	75,196	3,337	325,829
წლიური ცვეთა		17,730	30,433	5,769	19,831	8,919	609	83,291
გაუფასურებ ა		-	-	-	-	-		-
31 დეკემბერი 2023წ.		91,277	134,422	27,421	67,939	84,115	3,946	409,120
საბალანსო ღირებულებ ა	283,343	4,512,861	116,978	30,785	76,725	42,182	5,380	5,068,254

10. არამატერიალური აქტივები

თვითღირებულება	
1 იანვარი 2023 წ.	3441
შემოსვლა	-
გასვლა	-
31 დეკემბერი 2023 წ.	3441
1 იანვარი 2023 წ. დაგროვილი ცვეთა	1634
წლიური ამორტიზაცია	271
31 დეკემბერი 2022 წ. დაგროვილი ცვეთა	1905
31 დეკემბერი 2023 წ. საბალანსო ღირებულება	1536

11. სავაჭრო ვალდებულებები

2023 წლის 31 დეკემბრისთვის სავაჭრო ვალდებულებები მოიცავს 10875353 ლარს.

12. ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები

კომპანიას ჩვეულებრივი იჯარით აღებული აქვს რამდენიმე კომერციული ფართი. ამ

იჯარების საშუალო ვადა ერთი წელია და ამავე ვადაში გათვალისწინებულია ფიქსირებული საიჯარო გადასახდელების გადახდა.

ჩვეულებრივი იჯარით გათვალისწინებული მინიმალური საიჯარო გადასახდელები, რომლებიც,

	2023	2022
მიმდინარე წელს აღიარებულია ხარჯად	281016	294558

13. კაპიტალი

2022 წლისა 31 დეკემბრისთვის საწესდებო კაპიტალის ნაშთი შეადგენს 1173055 ლარს.

14. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2023	2022
ფულადი სახსრები სალაროში	-	17116
ფულადი სახსრები ბანკში	4385273	3665735

15. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2024 წლის 30 სექტემბერს.

დირექტორი: ალექსანდრე მაკარიან
ხელმოწერა:

იჯარების საშუალო ვადა ერთი წელია და ამავე ვადაში გათვალისწინებულია ფიქსირებული საიჯარო გადასახდელების გადახდა.

ჩვეულებრივი იჯარით გათვალისწინებული მინიმალური საიჯარო გადასახდელები, რომლებიც,

	2023	2022
მიმდინარე წელს აღიარებულია ხარჯად	281016	294558

13. კაპიტალი

2022 წლისა 31 დეკემბრისთვის საწესდებო კაპიტალის ნაშთი შეადგენს 1173055 ლარს.

14. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2023	2022
ფულადი სახსრები სალაროში	-	17116
ფულადი სახსრები ბანკში	4385273	3665735

15. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2024 წლის 30 სექტემბერს.

დირექტორი: ალექსანდრე მაკარიან

ხელმოწერა: ✓

